ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №36

2010 წლის 19 ოქტომბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის „მკაცრი აღრიცხვის ფორმის (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №699 ბრძანების საფუძველზე, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი №1.
2. დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის და ანგარიშგების წესი (დანართი №2).
3. დადგენილება ძალაშია დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გელენიძე

შეტანილი ცვლილებები:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №72 – ვებგვერდი, 10.01.2011წ.
2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

დანართი №1

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახური

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ო ქ მ ი № 000000

ოქმის შედგენის თარიღი „———"————————20——წ. ოქმის შედგენის ადგილი————————
ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილმა პირმა————————
——

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

შევადგინეთ ეს ოქმი მასზე, რომ 20—— წლის „——"————————გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი შემდეგ მისამართზე:————————————————
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია————————————————————————
——

(ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გაცემის ვინაობა და გაცემის თარიღი)

——

(ფიზიკური ან იურიდიული პირის სრული დასახელება, მისი წარმომადგენლობის თანამდებობა, სახელი,გვარი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გაცემის ვინაობა და გაცემის თარიღი)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომლის თაობაზე შედგენილია ეს ოქმი, განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის ———— მუხლითა და 240-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სამართალდარღვევის ჩამდენს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით განსაზღვრული მისი უფლებები და მოვალეობები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მოწმეები არიან (თუ მოწმეები არ არიან, კეთდება შესაბამისი აღნიშვნა)

1. ——

(სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გაცემის ვინაობა და გაცემის თარიღი)

2. ——

(სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, მისი გაცემის ვინაობა და გაცემის თარიღი)

ოქმს ერთვის/ არ ერთვის სამართალდარღვევის ჩამდენის ახსნა-განმარტება————————————
——
——

ხელმოწერები:

ოქმი შევადგინე————————————————————————————————————
სამართალდამრღვევი————————————————————————————————
მოწმეები: 1————————————————————————————————————
2——
ოქმს გავეცანი, ასლი ჩავიბარე————————————————————————
შენიშვნა:————————————————————————————————————
——
——

დამკვეთი ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობა
გამზადებულია შს „კაბადონი+)
სფს-ს რეგისტრაციის №

დანართი №2

ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ” საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმის (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №699 ბრძანების საფუძველზე.

2. აღნიშნული წესის მიზანია ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მკაცრი აღრიცხვის ფორმის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოყენებისა და მისი აღრიცხვა-წარმოების დარეგულირება.

მუხლი 2

1. პოლიგრაფიული საწარმო ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სტამბური წესით ბეჭდვას (შესაბამისი დამცავი ნიშნების გათვალისწინებით).

2. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი ფორმის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩაბარების უფლება აქვს საამისოდ აღჭურვილ პირს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან დაცულ სათავსოში.

მუხლი 3

1. ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი სპეციალისტი, საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი იურიდიული პირის. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს შემოსულს და გასვლის ჟურნალში სათანადო აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №72 – ვებგვერდი, 10.01.2011წ.

მუხლი 4

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის მიღება, აღრიცხვა და გაცემა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №699 ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა-წარმოების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსვლისა და გასავლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული, ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმით გამოყენებული და გაფუჭებული ფორმები ბარდება მათ მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებ ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში შესაბამისი პირი ფორმას თან ურთავს ახსნა განმარტების ბარათს, რაზედაც დგება სათანადო აქტი.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №72 – ვებგვერდი, 10.01.2011წ.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

მუხლი 5

,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,მკაცრი აღრიცხვის (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმის (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №699 ბრძანებისა და წინამდებარე წესის დამრღვევი პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №72 – ვებგვერდი, 10.01.2011წ.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 მარტის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.